


1940

თქცომბრულო

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1940

№10

გაერთიანებული „კომუნისტი“



ოქტომბერი

საბართველოს ა. ლ. კ. კ. ციკას და სპ. ბანახოვის ერთობიანი ორგანო
„Октомври“ журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии.

შეღწევა შინაარსსი

	გვ.
✓ 1. ბიორგანი კახიხიძე—იაკობ გოგებაშვილი (ლექსი)	1
2. იოსებ ნანოზაშვილი—დაუფიწყარი მასწავლებელი (წერილი)	2
✓ 3. ილია სინარულიძე—დედა ენა (ლექსი)	3
✓ 4. სოლ. ხუციშვილი—„იაენანა რა ჰქმნა“ (წერილი)	4
✓ 5. ლევან მიტრეველი—სახელოვანი აღამიანი (მოთხრობა)	6
✓ 6. ილო მოსაშვილი—კიქნას თავდადსავალი (პოემა)	7
✓ 7. ლ. ნიკრასოვი—პირველი ამხანაგი (მოთხრობა თარგმანი ც. ჩხეიძისა)	8
✓ 8. სანდრო ჟღენტბი—ზურა და ზურჩხელები(ლექსი)	10
✓ 9. იოსებ იმედაშვილი—ზარმაცი(პიესა)	10
10. დოვ. ივ. ბეჭულაშვილი—ლაზაროს აღიანი (წერილი)	12
11. ლაზაროს აღიანი—ია (ლექსი თარგმანი ა. თ-ისა)	13
12. თამარ ბურული—ნაღმოსანი ჩასძირა (მოთხრობა)	13
13. ა. აკოვოვი—თინიკოს სინარული (ლექსი)	15
✓ 14. მაინ რიდი—ნადირობა ვეფხზე (მოთხრ. თარგმ. მ. კ-ისა)	16
15. ბავშვთა შემოქმედება	გარეკანის მე-4 გვ.
16. გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ— ი. ქოქიაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. მიწინაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ან. თიფნაძე

გადაეცა წარმოებას 23/IX 1940 წ.


ქალაქის ზომა 60 X 92

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X 40 წ.

ფორმათა რაოდენობა 22-გვ, 9 1/2 X 14

ფე (Yა) 1845 შეკვ. (Заказ) 1.128 ტირაჟი (Тираж) 18.600

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Комунისტი“, имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.



იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ყდები



გიორგი კაჭახიძე

ტკბილი სიტყვის ქონე იყო,
დედაჩის მოამაგე,
მადლიანი ქვეყნის შვილი
ნათელს ჰფენდა საქმით კარგებს.
ახარებდა ზატარების
ბეჯითობა, მკვირცხლი თვალი,
ახარებდა მათთან შრომა,
მათი კარგი მომავალი.
ხალხის გულში, ხალხის სულში
შის შუქივით მონავარდე,
მსრუნველობას არ აკლებდა
მოსაზრების ბაღის ვარდებს.

გუშაგობდა... ვერ დაუშვს
კვირტი სუსხმა, ვერც ქარებმა,
ზრდიდა ნერვებს, რომ ენახა
ქვეყნის სსნა და გასარება.
სიკეთისთვის ძალა ჰქონდა,
მის თვადებში შუქი იდგა,
მისი კარგი ნაწერებით
ენა ბევრმა ამოიღვა.
ბევრს ასწავლა ფრთების გაძლა,
მერცხალივით ლაღად ფრენა,
წკრიალებდა მისი სიტყვა,
მისი ტკბილი „დედა-ენა“.



3636.

დაუვიწყარი მახავლები

მაკობ გოგებაშვილი დაიბადა გორის ყოფილი მაზრის სოფელ ვარიანში 1840 წლის 28 ოქტომბერს. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარია დაამთავრა 1856 წელს.

იაკობი პირველი კლასიდანვე კარგად სწავლობდა, ყოველთვის პირველ მოწაფედ ითვლებოდა. იგი, როგორც პირველი მოწაფე, 1862 წელს სახელმწიფო ხარჯზე გაიგზავნა ქალაქ კიევის უმაღლეს სასწავლებელში. კარგად უსმენდა უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს და ბევრ წიგნს კითხულობდა, მაგრამ მძიმე ნივთიერმა მდგომარეობამ და ავადმყოფობამ ხელი შეუშალა, რომ ქალაქ კიევში დიდხანს დარჩენილიყო, ვერ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლის მთლიანი კურსი და საქართველოში დაბრუნდა.

თბილისში ჩამოსულმა იაკობმა დაიწყო მასწავლებლობა, ასწავლიდა გეოგრაფიასა და არითმეტიკას.

იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ძალიან დიდია. მან ბევრი რამ გააკეთა ისეთი, რაც დღემდისაც მეტად მნიშვნელოვანია, მან დაწერა „ანბანი“, რომელიც 1865 წელს გამოვიდა. ეს წიგნი სახელმძღვანელო იყო ქართული ენის შესას-

წავლად და დიდი სამსახურიც გაუწია ქართული ენის შემსწავლელთ.

1867 წელს პირველად გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის ცნობილი წიგნი „ბუნების კარი“, რომელშიაც ბევრი რამ არის მოყვანილი საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზნეჩვეულებების შესახებ. დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე მისი წიგნი „დღეა ენა“, რომელიც გამოცა 1868 წელს. ეს ის წიგნია, სადაც უკანასკნელი წლების განმავლობაში იბეჭდებოდა დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინის, ღირსშესანიშნავი ლექსები. სტალინის ეს ლექსები ბევრმა თაობამ ისწავლა და ბევრმაც მიიღო სწავლა-განათლება ამით.

შაბნელი იყო მეფის მთავრობა და ამიტომ უძნელდებოდათ მუშაობა მოწინავე ადამიანებს. ყველა გაურობდა სამსახურს. იაკობიც ძალიან წუხდა და სულ იმას ცდილობდა, სამსახურისათვის თავი დაენებებინა. სამსახურებრივი მდგომარეობით შეწუხებული, ის იმ ზომამდის მივიდა, რომ ერთხანს მიხეილის სახელობის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაშიც კი იყო მოთავსებული. დაავადებული იაკობი ლოგინად ჩავარდა და 1912 წლის 1 ივნისს გამოეთხოვა წუთისოფელს. ის დაასაფლავეს თბილისში, დიდუბის ეკლესიის გალავანში.





ღელა ენა

მომონება

სკოლაში რომ გამამგზავრეს,
გამაყოლეს და მარიკა,
და სანამდე მიმიყვანდა,
გზაში ასე დამარიგა:

„არ იცელქო, გენაცვალე,
და არ იჯდე უსაქმური,
რაც გასწავლონ, დაიხსომე,
გქონდეს ნიჭი, გულისყური!“

ჩამაბარა მასწავლებელს,
ის წავიდა, მე კი დავრჩი,
ვინ არ მკითხა: „რა გქვიაო“,
ვიძახოდი: „არჩილ, არჩილ!“

იქ ჩემ კბილა გოგო-ბიჭებს
თავი ერთად მოეყარა,
აწყრილდა სკოლის ზარი,
ამიძგერდა გული ჩქარა.

შეგვიყვანეს ყველა კლასში
და მერხებზე მოგვათავსეს.
ერთი ბიჭი გვერდს მომისვეს,
კაკლით ჰქონდა უბე სავეს;

ერთ ბიჭს კომში მოეტანა,
იმ სისხო და იმოდენა,
რომ შარვალის დიდ ჯიბეში
ძლივძლივობით ჩაეტენა.


ჩვენ ვუყურებთ მასწავლებელს,
არ ვაშორებთ თვალებს მას და,
ვხედავთ, გვიცქერს გაღიმებით,
არც გაჯავრდა, არც გაბრაზდა.

მან აგვიხსნა, როგორ ვისხდეთ,
როგორ უნდა ავღვდეთ ზეზე,
სახელი და გვარიც გვკითხა,
ჩემს ამხანაგს ერქვა სესე,

ვის ნათელა, გივი ერქვა,
ვის ზურიკო, კატო, გიგა...
დრო გავიდა, ჩვენ აღმზრდელმა
თითო წიგნი დაგვირიგა.

რა ლამაზი წიგნი იყო!
ოპ, რარიგად გაგვეხარდა!
წითელი ყდა უხდებოდა,
ზედ ბულბული დაეხატათ!

გადავშალე, რა არ ვნახე,
რა ნახატი, რა სურათი!
აგერ, ვხედავ; დაუხატავთ:
ია, თითი და საათი;



იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ ერთერთი გვერდი.

აგერ თხა ღვას, წვერცანკარა,
იქვე—თოხი და იქით—ხე!
სურათებს ქვეშ რა ვწერა,
ის კი ველარ წავიკითხე.

მაღე ვიწყეთ ანა-ბანა,
მუდამ მახსოვს მე იგი დღე,
ასო ასოს რომ მივაბი
და სიტყვები ამოვიღე.

შევისწავლეთ წერა-კითხვა,
გავეცანით „ღეღა-ენას“
და საზღვარი აღარ ჰქონდა
ჩვენს სიხარულს, აღმაფრენას!

წავიკითხეთ „ნუსას სკოლა“,
„თხა და გიგო“, „ერუპენტელა“,
და აკაკის „ღეღაკატა“.
თან „ყმაწვილი და ჰებელა“,

მე სოსელოს! „დილა“ მახსოვს:
„გაეფურჩქნა ვარდს კოკორი“,
და რამდენი რა არ მახსოვს
განა ერთი, განა ორი!

ანდაზები, გამოცანა,
ზღაპრები ხომ, ყველა, ყველა!
„გვრიტი“, „ჩიტი და მელია“
და „რწყილი და კიანჭველა“...

რამდენი რა შევისწავლეთ!
ყველა დამრჩა გონებაში
და გავიგე, რომ ეს წიგნი
შეუქმნია გოგებაშვილს!

დღესაც, ახლაც, ხანდახმული,
ტრფობით ვფურცლავ „ღეღა-ენას“
და ვიგონებ სიხარულით
სიყმაწვილის აღმაფრენას!

¹ სოსელოს ფსევდონიმით ამხანაგმა სტალინმა ლექსი „დილა“ 1895 წელს მოათავსა ვაზეთ „იერიში“, ხოლო „ღეღაენაში“ შეტანილ იქნა 1916 წელს.

„იავნანამ რა ჰქმნა“

ს. ხუთიშვილი

Qიდი ხნის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილი მასწავლებლად მუშაობდა, მისი ხელმძღვანელობით მრავალი ქართველი მოღვაწე აღიზარდა, ბევრს ჩაუნერგა მან სიყვარული სამშობლო ქვეყნისა და ხალხისა. მის ხელში აღზრდილი ქართველი მოღვაწენი, მასწავლებლები და მწერლები ყოველთვის დიდი პატივისცემით მიმართავდნენ საყვარელ აღმზრდელს. იაკობ გოგებაშვილს ყოველთვის ჰქონდა კავშირი თავის ნამოწაფარებთან, ისინიც მას წერილებს უგზავნიდნენ, რჩევა-დარიგებას სთხოვდნენ; უკვე ხანში შესული მასწავლებლები სიყვარულით აღსავსენი იგონებდნენ იმ დროს, როცა მეფის მთავრობის მიერ

საქართველოს სკოლებიდან განდევნილ ქართულ ენას დიდი მოამაგე იაკობ გოგებაშვილი თავგამოდებით იცავდა, ყველას მოუწოდებდა მეფის სურვილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უზომო გრძნობითა და სიყვარულით იგონებდნენ ქართველი მწერლები საყვარელ იაკობს. ეგნატე ნინოშვილი ერთ წერილში სწერდა მას: „ვინ იქნება დღეს, წერა-კითხვა იცოდეს და თქვენ კი ვერ გიცნობდეს? განა ყველანი თქვენგან შედგენილ ქართულ სახელმძღვანელოებზე არ აღვიზარდეთ? თქვენგან შედგენილ სახელმძღვანელოებში ვისწავლეთ ქართული წერა-კითხვა, თქვენ შეგვაცვარეთ სამშობლო და მისი ენა...“. ასევე იგონებდნენ მას ნიკო ლომოური, ეკატერინე

სახელოვანი ადამიანი



აზაფხულია. ტოტებდადრეკილ მუხას ნელა აშრიალებს საღამოს ნიავი.

იმის ძირას ღიდ ლოდზე ზის ქალარა კაცი. მუხლებზე უზის თავისი თოჯინა — გოგო. პატარა გოგო ცელქობს, თანაც მოუსვენარი თათუნებით ქალარა თავზე უაღერსებს თავის მამიკოს.

საღდაც თოფი გაისროლეს.

უტებ მუხიდან აფრინდა სროლით შე- შინებულნი ყვავი და უშნო ჩხავილით გადაეშვა ძირს, უღრან ხევში.

თოჯინა — გოგონამ თვალი გააყოლა ყვავს ცოტახანს ჩაფიქრდა რაღაცაზე და შემდეგ მიმართა მამიკოს:

— მამა, მამიკო! თემურამ თქვა, ყვავი ას წელიწადს ცოცხლობსო. მართლა, მამა?

— მართალი უთქვამს. ასს კი არა, ზოგჯერ მეტსაც ცოცხლობს.

ჩაფიქრდა თოჯინა — გოგო და ასე ჩაფიქრებულს თითიც პირში შერჩა, შემ- დგმ გულამოსკენით ამოიოხრა:

— ნეტავი მეც ყვავი ვიყო!

მამას გაეცინა.

— რათა, ჩემო გოგონი? ყვავობა რა სანატრელია?!

— მეც ღიდხანს ვიცოცხლებდი!

— უი შე სულელიო! ადამიანები ათას- ჯერ უფრო მეტსაც ცოცხლობენ, ვიდრე ყვავები.



— ღიას, ღიას! მატყუებ! აი, ბებო ნა- ტო, ოთხმოცი წლისა ვარო და როგორი დამანქულია, სულ დაღრეჯილი. იმას რა აცოცხლებს ას წლამდინა!

მამამ ქოჩორზე გადაუსვა ხელი თავის გოგონას, უფრო მიიხუტა მკერდზე და და აღერსით ეუბნება:

— ბებერი ნატო კი არა, გენაცვალე, ეს სხვა ადამიანებია, ღიდხანს რომ ცოც- ხლობენ.

— საღ არიან ეგეთი ადამიანები, მამა?

— ისინი ყველგან არიან, ჩემო პატარა გოგონი.

— ჩვენშიც არიან ეგეთი ადამიანები, მამა?

— არიან და რამდენი!

— მატყუებ შენა! აბა რომლები?

— რად გატყუებ, ჩემო გოგონი! აი თუნდა აკაკი წერეთელი. ის დაიბადა ასი წლის წინათ, მაგრამ ახლაც ცოცხალია. იმის „სულიკოსა“ და „ნათელას“ ხომ შენ- ცა მღერი! მთელი ქვეყანაც მღერის! ყვე- ლა კითხულობს იმის წიგნებს, ყველა ახე- ნებს იმის სახელს. მაშ ის ცოცხალია! ილია ქაჭკვაძეც ეგერა! ისიც ცოცხალია, რად- ვან იმის ნაწერებს ყველა კითხულობს სიყვარულითა და გატაცებით. ღიდმა და პატარამ ყველამ იცის იმის სახელი.

— რუსთაველი, მამიკო?

ყოჩაღ, რომ შენ თვითონ მომაგონე. რუსთაველი, ჩემო გოგონი, შვიდასი წლის წინათ იყო, მაგრამ მისი სახელი ღიდსაც ყველას პირზე აკერია. მისი „ვეფხისტყა- ოსანი“ ღამის ზეპირად იცის ხალხმა. მაშ ისიც ცოცხალია და არც მოკვდება, ვი- დრე იარსებებს ხალხი და ქვეყნიერება.

— მაშ სულ იცოცხლებს, სულ, მამა?!

— მაშა, ჩემო თოჯინა — გოგონი! სახე- ლოვანი ადამიანები არასდროს არა კვდე- ბიან! ისინი უკვდავები არიან!

თოჯინა — გოგო ჩაფიქრდა, ძალიან ღრმად ჩაფიქრდა, მერე უნებლიედ ამო- იოხრა:

— ოჰ, ნეტავი მეც გავხდებოდე სახე- ლოვანი ადამიანი!



კიკნას თევზადსავადი

(დასასრული)*

რკინის ზღუდეს რომ გასცილდა,
რკინის ლობე დახვდა იქაც.
კიკნა შეძვრა, გაინაბა,
ღობის იქით ზვინანეს ვილაც.

ბნელაა და შიშობს:
იქნებ
ესეც მხეცის საფარია?
ხან კატა და
ხან ნადირი, —
სინამარი თუ ზღაპარია?!
დიღხანს იჯდა,
მერე იქვე
რადიკაზე მიწვა რბილად
და გძინა ტკბილად,
ვიდრე

არ დაადგა თავზე დილა.
რა იცოდა, თუ იმ დამეს
ვეფხვის ზღუდე ჰქონდა ბინად.
შიშისგან ხომ მოკვდებოდა,
რომ შეეტყო კიკნას წინათ!
ნელა ადგა,
ფეხით ტანზე
გაისწორა რბილი ფარჩა,
მერე ისევ
წამოგორდა
და გულალმა დიღხანს დარჩა.
წეეს და ფიქრობს:

ის რა იყო,
რამდენი რამ ნახა გუშინ!
ქვეყანა რომ არ დაიქცა,
უხარია კიკნას გულში.
ერთი კატა,
ორი კატა,
მერე კატის მსგავსი რადაც.
შეხვდა და მისი ტოლი
წამოადგა თავზე აქაც,
იმ კატაზე ასჯერ დიდი,
მთელ იმ კატას თათი უკავს,
დასცქერის და აბრიალებს
ორს ვეება თვალის გუვას.
ტანზე ზოლი,
რგოლზე რგოლი,

უღელაშებიც
ასჯერ დიდი,
მხოლოდ არ აქვს ლომის მსგავსად
ფაფარი და ყელსაკილი.
დიღხანს სინჯავს.

აბა, შეხე
თუნდა ყურებს,
თუნდა თათებს!
კული,
ფერი, —
ყველაფერი
ისეთი აქვს, როგორც კატებს.
არა, სწორედ კატა არის, —
შეეპარა კიკნას თრთოლი.
წამოადგომა სცადა, მაგრამ
ტანი ველარ აიყოლა
და დახვტა ორივე თვალი,
ორი ფეტვის მარცვლის ტოლი.
...

ამ დროს იქვე,
იმვე ბაღში,
მოეყვანა
მამას ბავშვი.
ბავშვმა ვეფხვი დანახა
და შემოკრა უბაღ ტაში:
— მამე, ფისო,
რა დილია,
რა ჭრელი და ხალიანი!
შენ გინახავს
სადმე კატა
ამოდენაბრკალიანი?
— არა, შეილო, კატას კი ჰგავს,
მაგრამ მავას ვეფხვი ჰქვინა,
ტყეში ცხოვრობს და უღრანში
სანადიროდ დადის გვიან.
არ ასვენებს წვრილფეხს, ნადირს,
ხან საფრღება და ხან ეძებს,
მის ხმაზე და დანახაზე
ეშინათ თეთრონ მხეტებს.
კიკნას ესმის საუბარი
იქვე ახლოს, ზღუდის იქით,
რახან კატა არ ყოფილა, —
იმართება წელში რიბით.



ვეფხვთან მიდის
და რბილ ტორზე
ულიტინებს
კულის რიკით.
ვეფხვი გაწერა,
თათი გაჰკრა
და გასტყორცნა
კედელს იქით.

* გაგრძელება, იხ. „ოქტომბრული“, № 9.



ეს იყო დიდიხნის წინათ, მე და დედა ვცხოვრობდით პეტროგრადში, ქვის დიდი სახლის ზემო სართულში. ჩვენი ფანჯრის წინ იყო მეორე, ასევე მაღალი, ნაცრისფერი სახლი. ნამდვილი მზე ჩვენთან არასოდეს შემოიხედავდა, მაგრამ ჩასვლისას იგი ჩვენს მოპირდაპირე სახლის ფანჯრებზე ირეკლებოდა ხოლმე და მაშინ ჩვენს ბნელ ოთახშიც ანათებდა მისი სხივები.

დედა დიდიდანვე ვაკვეთილებზე მიდიოდა.

— უჩემოდ ნუ ანთებ ასანთს, ნუ დაჯდები რაფაზე და კარებს ნურავის გაუღებ, — მეუბნებოდა ყოველ დღით დედა წასვლისას. — შენ შეგიძლია ხანძარი გააჩინო ან ფანჯრიდან გადავარდე! ჭკვიანი და იყავი, ჩემო გი.გონა, ძალიან ვახოვ! შეიძლება მე დღეს ადრე დავბრუნდე; მაშინ მე და შენ მოვასწრებთ სასეირნოდ წასვლას! — მოხურავდა ხოლმე კარებს, ჩაირბენდა კიბეებზე, და მე მთელი დღით მარტო ვრჩებოდი.

მასწავლა დედის სიტყვები და არ ვანთებდი ასანთს. ასანთის ღერებისაგან ვაშენებდი ქასა და სახლს. თუ ეზოში არღანი უკრავდა, მე მხოლოდ ფანჯრიდან ვიხედებოდი, ფანჯრის რაფაზე კი მაინც არ ვჯდებოდი. ხოლო, როდესაც ფოსტალიონი მოდიოდა, იგი წერილებს კარების ქუქურუტანაში დებდა.

მე არავის ვუღებდი კარს.

დადგა შემოდგომა. ახლა, შინ დაბრუნებისას, დედას მოჰქონდა სქელი წიგნები, ჟურნალები, მთელი შეკვრა ქაღალდები და ყოველივე ამას შკაფში კეტავდა. წინათ მე ასეთი რამ არ შემიმჩნევია.

— რად გინდა ამდენი წიგნი? — ვკითხვ დედას.

— ეს ჩემი მეგობრების წიგნებია, — მიპასუხა მან.

კოტახნის შემდეგ ჩვენთან სიარული დაიწყო წიგნიანმა ადამიანებმა. ისინი დიდხანს იხდნენ ხოლმე ჩვენს ოთახში, ლაპარაკობდნენ, კითხულობდნენ... მე ვისმენდი ჩემთვის გაუგებარ ლაპარაკს და შევნიშნე, რომ ეს ადამიანები ერთმანეთსა და დედას ამხანაგს უწოდებდნენ. ეს სიტყვა „ამხანაგი“ რაღაც განსაკუთრებით ალერსიანად ჟღერდა, თითქოს ისინი ყველა ერთმანეთის მეგობრები იყვნენ.

ერთხელ ყველაზე მხიარულმა მათ შორის ამიყვანა მაღლა-მაღლა და თქვა:

— აი, ეს პატარა ადამიანი უკვე სულ სხვაგვარად იცხოვრებს, ვიდრე ჩვენ!

ჩვენი განმარტოებული საღამოები შეიცვალა, ახლა თითქმის ყოველთვის იკრიბებოდნენ ჩვენთან დედას მეგობრები. მაგრამ დილაობით ყველაფერი ძველებურად დარჩა: დედა მიდიოდა ხოლმე დიდიდანვე და მაგონებდა აკრძალული საგნების — ასანთის, ფანჯრის რაფისა და კარის — შესახებ.

ასე იყო ამ დღესაც.

ის საათი იყო, როდესაც მზის წითელი და ოქროსფერი სხივები სწვდებოდნენ ხოლმე ჩემს ოთახს. მე უკვე რამდენიმე ციხე ავაგე ასანთის ღერებისაგან და მზემ გააშუქა ისინი. მზის შუქით განათებულ ალაგზე დავიწყე კიდევ ერთი ციხის აგება. როდესაც მის წვერზე უკანასკნელი ასანთის დადებას ვაპირებდი, სადღაც, ძალიან ახლოს, სახლში, გაისმა სროლა. მოულოდნელობისაგან ხელები შემიკრთა, ციხე დაინგრა და ღერებიც სროლით დაიფანტა.

რალაც არაჩვეულებრივმა ხმაურობამ მოიკცა ჩვენი სახლის მეექვსე სართული. კიბეები ახანზარდა ადამიანების სირბილისაგან, საღდაც ფანჯარამ დაიზრიალა... კარზე დააკაკუნეს. დააკაკუნეს ძალიან მაგრად და არა ისე, როგორც დედა აკაკუნებდა ხოლმე. მე გავიბინე ბნელ დერეფანში.

— ვინ არის? — ვკითხე მე.

— გამიღე კარი, ამხანაგო! — წარმოთქვა სულ შეგუბებულმა ხმამ. „ამხანაგო!“ — ეს სიტყვა ჩემში მკიდროდ იყო დაკავშირებული დედასთან, იმ ადამიანებთან, რომლებიც უკანასკნელ ხანებში დადიოდნენ ჩვენთან... ეს სიტყვა მეგობარს ნიშნავდა! მე სწრაფად გადავატრიალე გასაღები.

შემოვიღა, — არა, კი არ შემოვიღა, შემოვარდა სუნთქვა შეგუბებული კაცი, თან სავესებით უცნობი. მე ის არასოდეს არ მენახა ჩვენთან! საიდან უნდა სცოდნოდა მას ეს სიტყვა? დედას სიტყვა? მისი მეგობრების სიტყვა?

კაცმა თვით ჩაეკტა კარი და სწრაფად შევიდა ოთახში. მე ვუყურებდი, თუ რას ჩაღიოდა ეს კაცი. იგი იდგა შუა ოთახში, მძიმედ სუნთქავდა. მხრები მალდა აუღიოდ — ჩაუღიოდა. ერთი ხელი ჯიბეში ჰქონდა, მეორით შუბლს იწმენდა.

კვლავ დააბრაზუნეს კარი. ისმოდა, რომ ბევრი ხალხი იყო. მე გადავწყვიტე, რომ დღეს არაჩვეულებრივი ამბები ხდება, და მოვეშაადე კარის გასაღებად, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ვკითხე:

— ვინ არის?

და პასუხად გაისმა:

— გააღეთ, პოლიცია!

ო, პოლიცია, ეს იყო მსხვილი გოროდოვოები, რომლებიც დგანან გზაჯვარედინზე და იმ დიდ ქანდაკებას გვანან, რომელიც სადგურის წინ მოედანზე დგას. სქელ ცხენზე ზის სქელი მრგვალი ქუდით და გვერდზე ხმლით... პოლიცია! სქელი



გოროდოვოები აბრაზუნებდნენ ჩვენს კარზე!

— მე დედა არ მაძღვეს კარის გაღების ნებას! — ვუპასუხე რაც შეიძლება ხმაოდლა.

პასუხად კვლავ მოაწვეს კარს. ვილაცამ ფეხი მოარტყა. კარი ახრიალდა და შეხანზარდა. უცებ მომესმა ჩვენი მეგობრის ხმა:

— იქ მხოლოდ პატარა გოგონაა სახლში, არასოდეს არავის არ უღებს კარს. დედა არ ანებებს. ის კი, ალბათ, სახურაზე გაიქცა! აი, შეხედეთ, სახურავის კარიც ღიაა!

მაშინვე კიბეებზე აფლრიალდა ხმლები, აბრაზუნდა სქელი ფეხსაცმელები... ხმები მიყრუვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ფეხის ხმა უკვე სახურავზე, ჩემს ზემოთ, გაისმა.

მე შევედი ოთახში. ის კაცი ზურგით იდგა ჩემკენ. სახით მინას მიპყრდნობდა.

— ამხანაგო, ისინი სახურავზე წავიდნენ! — ვუთხარი ჩურჩულით.

იგი მომიახლოვდა.

— გმადლობთ, პატარა ამხანაგო! — და მან გამომიწოდა თავისი დიდი, ღონიერი ხელი.

თარგმანი ციალა ჩხეიძის



წესების ჩატარება

ჩამწკრივა ზურას დედამ
ჩურჩხელების მთელი წყება...
მზე აცხუნებს, ნელა-ნელა
ჩურჩხელები მზეზე ხმება.

დიდი ჯოხით, იქვე ახლოს,
დგას ზურაბი ერთგულ მცველად,
ის დედიკოს ეხმარება
რადგან დედას უნდა შველა.

შემოდგომის დილის მზეა,
საამო და მეტად თბილი;
ნიავეს მოაქვს სურნელებს;
დაშაქრული ვაშლის, ტკბილის...

ზურას ვაშლი სულ მობეზრდა,
ეტანება უფრო ყურძენს...

ჩურჩხელების შემხედვარე,
ზურა ნერწყვებს ველარ უძლებს.

რალა ახლა მოაგონდა
შარშანდელი კაკლის გემო;
თითქოს ბები ეხვეწება:
— აპა, კამე, ზურა ჩემო!

ზურა ფიქრობს ეშმაკურად,
გაჰკრას კბილი ბარემ ჩქარა,
როგორც ქორმა, ხარბი თვალთ
ჭოგრებს ღინჯად ჩაუარა.

გასინჯა და ჩურჩხელების
მოეწონა ძალზე სიტკბო,
და სუყველას ბოლოები
მოაჰპა თითო-თითოდ.

ზარმაცი

იოსებ ივანოვი

(დასასრული) ¹

ცალფება: (ყვარჯნებით, ზურგზე აბჯით): ერთი
შევისვენო და მერე მეორე სოფელში გა-
ვიარო საშოვარზე. (შენიშნავს) ეს ვილაც
გაშოლტილა! (ერთ ყვარჯენს წაჰკრავს)
ვინა ხარ?

ზარმაცი: (გაკვიანურებით): აადამიანი!

ცალფება: მეც ვხედავ, რომ ადამიანს გეგვარ,
მაგრამ რა ადამიანი ხარ, სამუშაო დღეს
აქდენ... (წყაროსთან ჩამოჯდება, ხელებს
დობანს, შესვამს, აბგიდან ჰურის ნატებს
ამოიღებს, დაასველებს და იღმურძლებს).
მოდი, მეწვიე, ხმელა ჰურის მეტი კი არა-

ფერი მაქვს, ესეც გლახაობით ვიშოვე! ხალ-
ხი გაძუნწდა, ჰურის ნატებსაც ძნელად
იხეტებენ, ისიც ვამხმარს, დაობებულს...
დღედაღამ უნდა იმოძრაო, იბრძოლო, რომ
მშვიერი არ მოკვდე...

ზარმაცი: ჰური გაქვს?

ცალფება: ვერა ხედავ, მთელი აბგა! დამეწვიე!

ზარმაცი: მომპოვდე...

ცალფება: ხომ არა გტკივა რა, რატომ ახლო
არ მოდიხარ?

ზარმაცი: არ შემიძლია... რა იქნება, თუ გემე-
ტება, რომ მომპოვოლო.

¹ დასაწყისი, იხ. „ოქტომბრული“ № 9.



ცალფეხა: (პურის ღიდ ნატებს დასველებს, ყავარჯნებით წამოდგება, მიუტანს და გაუწყვდის): აჰა, ქამე!

ზარმაცი: ბარემ პირშიაც ჩამიდე...

ცალფეხა: (გაკვირვებით დააქქვრდება): რაო, დამპლა ხომ არ დაგცემია?

ზარმაცი: არა, მაგრამ...

ცალფეხა: მაშ ეგ ხელები რა ოხრად გაქვს?

ზარმაცი: ახლა რა იქნება, რომ პირში ჩამიღო!

ცალფეხა (გაოცებით, ბრაზმორყული): პირში ჩაგიღო! აი ცუცხლი და ღადარი მაგ პირსა! (პურის ნატებს შორს გადასვრის) არ იფიქრო მშურდეს, მაგრამ ზარმაცისა და უქნარასათვის ყველაფერი საშურველია! (მიბრუნდება) ოჰ, ნეტავი მეორე ფეხიცა მქონდა, მთელი ქვეყანა მომეფლო, მენახა სად ვინ როგორა ცხოვრობს, ეგება ჩემი შესაფერი სამუშაო მეშოვნა და მათხოვრობისათვის თავი დამენებებინა!

ზარმაცი: შენ გლახაობით პურს შოულობ, სხვისთვის კი არაფერი გემეტება!

ცალფეხა: (მიმავალი, ყავარჯნზე შემდგარი, ცალ ფეხს ჩასცემს): აი, თუ არაფერი გემეტება შენისთანებისათვის! ნეტავი წამოდგე, რომ ამ ყავარჯნით გვერდები დაგიმტერიო! შე მართლა გლახავ, ქვეყნის მებტარგო, ლეშო და სიბინძურე... მეორე ფეხიც უნდა მქონდეს, რომ ორივე წიხლით შეგდგე და გაგაბრტყელო! (გადის).

ზარმაცი: მეორე ფეხიცო! (ფეხებს აამოძრავებს, წამოიწვეს) მე კი ორივე ფეხი მაქვს! (მკლავებს შეიქნევს, შორს გაიხედავს) ერთი მიუდგე-მოუდგე და ენახოთ (მიმავალი), ვინ ვის აჯობებს, რაკი შე ყველაფერი მქონია:

თვალეზიც, ხელეზიც და ფეხეზიც. (ტყეში მიეფარება).

დედა: (შორიდანვე): სადა ხარ, სადა, ამდენხანს, შე ჩემო გულის ბოღმავე, ცოცხლებში გამორჩეული, მკვდრებში ნაყრული! (ათვალეფერებს) რა ვქნა, სად წათრეულია იქნება გზაში ამცდა! (წყაროსთან მივა ყურბიანი ქვებით. დამტყვეულ კოკას შენიშნავს) უი, თვალი დამიღვა, იმ აღრე და მალე სასიკვდილეს ეს რა უქნია... რალა წყალში ჩავეარდე, მეზობლიანთ ვიხიდე, საიდანა მივაოხრო! (ყურბიან ქვებს მიუღვამს ღარს); ქერიე-ოპლობით ძლიეს გამოვხარდე, არ გათხოვდი და ერთი შეხეთ, ამ ქვად საქცემა რა დღეში ჩამადგო, რა უხილავი ცუცხლითა მწვევს და მდაგავს! (სავეს ქვებს აიღებს).

ზარმაცი: (ვეება კონა ფიჩხამოკიდებული): დადგი, დედა, დადგი! მაგოდენა ქვებს შენ როგორ წაიღებ, მე წამოვიღებ!

დედა: (გაოცებით შეზხედავს, უზოზო სიამით): შეილო, ეგ შენა ხარ?!


ზარმაცი: განა ისე შევიცვალე, რომ ვეღარა მცნობ! (ქვებს დატაცებს ხელს).

დედა: შეიცვალე კი არა, ახლად დაიბადე! ქვებს მე წამოვიღებ.


ზარმაცი: არა, დედა, არა, ორი ხელი მაქვს, ორი თვალი, ორი ფეხი და ღონე, — შენ რაზე გაგარჯი! (მიდის ზურგზე ფიჩხით, ხელში ქვებით).

დედა: (გაბრწყინებული სახით მისდევს): აი, იმან იხაროს და იღბინოს, ვინც ამ გზაზე დაგაყენა!

ფ ა რ დ ა



ლაზაროს ალაიანი



ლაზაროს ალაიანი ბავშვების საყვარელი მწერალია. იგი დაიბადა 1840 წ. სოფელ ბოლნისის-ხაჩენში, რომელიც თბილისიდან 60 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. პატარა ლაზაროსმა წერა-კითხვა თავისივე სოფლის მღვდლისაგან შეისწავლა. 13 წლის ალაიანი ეწყობა თბილისის ნერსისის სახელობის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ სიღარიბის გამო სწავლას ჩქარა თავს ანებებს და ისევ სოფელად ბრუნდება. შვიდი წელი რჩება სოფელად, რის შემდეგაც, ამხანაგების რჩევით, სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში მიემგზავრება, მაგრამ კვლავ სიღარიბემ შეუშალა ხელი და ამიტომაც სტამბაში ასოთამწყობად მოეწყო. მოსკოვიდან პეტერბურგში (ლენინგრადი) გადადის, შემდეგ ისევ მოსკოვში ბრუნდება, ხოლო 1866 წელს კი სომხეთში მიდის. 1870 წლიდან ლაზაროსის მის საყვარელ მასწავლებლობას ჰკიდებს ხელს, ხოლო მასწავლებლობიდან სკოლების ზედამხედველობას.

ლაზაროს ალაიანი გარდაიცვალა 1911 წლის 20 ივნისს (ძველი სტილით) თბილისში.

მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია ალაიანის ცხოვრება და შემოქმედება. თითქმის არ დარჩენილა ცხოვრების არც ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც არ შეხებოდეს ალაიანის მახვილი გონება და ბასრი კალამი. ალაიანი სომხურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც რომანების, ზღაპრების, ლექსების, კრიტიკული წერილების ავტორი და, რაც მთავარია, იგი, იაკობ გოგებაშვილის მსგავსად, პირველია, ვინც სომხურ ენაზე შეადგინა „დედა-ენა“.

ლაზაროს ალაიანი სომეხი გლეხის უმწეო მდგომარეობის ამსახველი მწერალია. იგი წუხს, რომ სოფლად უსწავლევლობა სუფევს. (რომანი „არუთიუნ და მანველ“). გლეხები დღედაღამ შეუსვენებლივ შრომობენ, მაგრამ მათ ცოლშვილი მაინც მშვიერ-ტიტველი ეხოცებათ, რადგან მდიდრები ყველაფერს სტაცებენ ღარიბებს (ლექსი „ჯარა“).

ლაზაროს ალაიანი ავტორია იმ ისტორიული პოემისა, რომელსაც ეწოდება „უღამაზო ტორქი“. ტორქი გმირი ვაჟკაცი და სამშობლოს მოყვარულია. მეტად საგულისხმობია ის ფაქტი, რომ ალაიანის „ქეორ-ოლი“ (ქეორ — ბრმა, ოლი — შვილი) ძლიერ წააგავს არსენას, ქეორ-ოლი, არსენას მსგავსად, მდიდრებს ართმევს და ღარიბებს ურიგებს. მდიდრები ქეორ-ოლის სდევნიან და „ავაზაკს“ უწოდებენ, ხოლო ლაზაროს ალაიანი კი მას „ბუნების უმანკო შვილს“ უწოდებს.

ალაიანი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებას; მას ჩაწერილი და დამუშავებული აქვს ხალ-

ხური ზღაპრების ორი ტომი. უმთავრესად მას აქვს საბავშვო ზღაპრები: „გიულნაზ ბებიას ზღაპარი“, „ლერწამქლა“, „გიულნაზ ბებიას შვილიშვილები“ და სხვა მრავალი.

გარდა ზღაპრებისა, ალაიანს აქვს ბავშვებისათვის საყვარელი ლექსებიც: „მერცხალი ბუდეს იკეთებს“, „ჩიტი ხეზე ჭყივის“ და სხვა.

თუ წარსულში ალაიანს მეფის მთავრობა ციხითა და გადასახლებით უმასპინ-

ძლდებოდა, სამაგიეროდ დღეს, როცა საც მთელი სომეხი ხალხი ეშხადება მისი დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად, შნავი იუბილესათვის (ალაიანს დაბადების თარიღი დაემთხვა იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ თარიღს, ორივენი დაბადებულნი არიან 1840 წ. ოქტომბერში) და გულმოდგინებით სწავლობს მწერლის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.



ღაზაროს ალაიანი

ი ა

— იავ ლამაზო, ასე რად დაქვნი, ლურჯი თვალები რატომ დალოლოე? ვინ გაწყენინა, ვინ გითხრა ცული, შენ ხომ სურნელით გვამხიარულებ.

— ბავშვო ლამაზო, მე შემეიყვარეთ, შემკონეთ ლამაზ თაიგულებად,

და დამიფარეთ უხეშ ხელთაგან, რომ არ წამართვან თავისუფლება.

ნახი ყვავილნი ჩქარა ჭკნებიან, გული წაიღო ამგვარ ფიქრებმა, მეც ვერ ვიცოცხლებ ამ ქვეყანაზე, თუ კი ბოროტი ხალხი იქნება!

თარგმანი: ა. თ-ისა.

ნადოსნი ჩაძიო

თამარ ბაჟალი

ლამის 12 საათზე გემებზე ზარებმა დაიწკარუნა—ეს იმას ნიშნავდა, რომ მეზღვაურები ვახშამს მიერთმევიდნენ.

ზარის წკარუნი შეწყდა და წყლის ზედაპირზე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ ქარის სისინი და გემები ლანდებივით თანაბრად ქანაობდნენ.

— ხრ, ხრ, ხრ!—ახმაურდა ფინეთის სრუტეში ჩაშვებული ჯაკვი და მძიმე ღუზა წყლის ზედაპირზე ამოატივტივა.

გემი ადგილიდან დაიძრა და დინჯი მსვლელობით ჩამოშორდა ტოლფებს. საბჭოთა სახაზო გემების საყვირებმა ზღვაში გასულს კეთილი მგზავრობა შეჰკვივლეს.


გემის კაპიტანი ამხ. სვეტლოვი ბაქანზე მეზღვაურებს ლაშქრობის ამოცანას უხსნიდა.

— გასაგებია?—შეეკითხა ის ბოლოს.

— ყოველივე ნათელია, —წარმოთქვა ბოხი ხმით ახალგაზრდა ვაჟმა.

— გასაგებია!—შესძახეს წითელფლოტელებმა.

— მტერი ცოცხალი ვერ წაგვივა, სათითაოდ ამოვიღებთ ნიშანში ფინეთის თეთრგვარდიელებს!—წამოიძახა ახალგაზრდა კაცის გვერდით მდგომმა ფართემხარბეჭიანმა მიშკამ და ვაჟს მეგობრულად მოხვია ხელი.



— ხომ, სიკო? — შეეკითხა ის. სიკოს ბევრი რუსულის თავი არ ჰქონდა და პასუხის ნაცვლად მიშკას ხელი გაუწოდა.

— მოიცა, მოიცა, ნუ დამამტვრიე ხელები, მისამართი შეგეშალა, მე თეთრი ფინელი არ ვახლავარ.

მიშკა ძველი მეზღვაურია. ის პირველი დღიდანვე სიკოს თითქოს მფარველობას უწევს.

ჯერ კიდევ გემის სასწავლო მანევრებზე გასვლის დროს არ იზორებდა ახალგაზრდა მეგობარს, ხან რას დასაქმებდა და ხან რას.

მაგრამ რაკი სიკო დარწმუნდა მისდამი მიშკას კეთილ განწყობილებაში, არ თავკილობდა არავითარ შრომას, პირიქით, უხაროდა.

მიშკა ყუმბარის მსროლელი იყო, სიკოც თანდათან ეჩვეოდა ზარბაზნის სროლის ხელობას.

— წამოდი, ჩვენ ჩვენ ადგილს მივაშუროთ, — დაიგუგუნა მიშკამ. სიკო და მიშკა ზარბაზნებს მიუახლოვდნენ. იატაკზე ყუმბარები ელაგა.

მიშკამ ღურბინდი თვალებთან მიიტანა და სივრცეს მიაჩერდა. „სად ოხრობაში იმალება მტრის ნაღმოსანი?“ — წარმოთქვა მან...

— ფუი, რა შავი ღამეა, ალბათ, სამარეში უფრო მეტი სინათლეა!

მიშკამ ღურბინდი ძირს ჩამოუშვა, ლახათიანად შეუკურთხა მტერს და ბინის ქვენაში ჩაეშვა.

— შრრ, შრრ, შრრ, — ელფეებოდა ტალღები ერთიმეორეს. კიდევ და კიდევ იელვა. ტალღებმა უხუილს უმატეს. გემი საოცრად გადაიხარა. სიკო წაბარბაცდა და ბაქანის მოაჯირს დაეჯახა, რომელსაც მაგრად ჩაავლო ხელი. ზღვა არ ხუმრობდა, ის მრისხანედ ღმუოდა, გაშმაგებული ტალღები ეხეთქებოდა გემის კედლებს.

— შრ, შრრრ, შრრრ! — ვეება ტალღა სიკოს სახეს უთანასწორდება. დავიღუბეთ, — გაიფიქრა სიკომ, მაგრამ ტალღა თითქოს დაცინვით იბნევა ათასგვარ თეთრ მარგალიტად. „მე ვთამაშობ, ვის აქვს დრო შენისთანებისათვის!“ — ესმის სიკოს ტალღების გრილში.

— მტერს კი მოვსპობ, თუ ამ წყეულს გადავურჩი! — გაიფიქრა ვაჟმა სწორედ იმ წამს, როცა დიდგულმა ტალღამ პირდაპირ გემის ბაქანზე ისეკა და მასპინძელივით დატრიალდა. ტალღა ისეთი სისწრაფით შემოიჭრა, რომ სიკომ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო.

— ყუმბარები, — გაუელევა თავში სიკოს. მართლაც, ტალღა მიაგორებდა ყუმბარებს, ზღვის უფსკრულისკენ მიაქანებდა, როცა სიკო არწივივით დააცხრა



ნადირობა კეზხზე

(გადაკეთებული ბავშვებისათვის)

ვეფხი დიდ კატას ჰგავს. მართლაც, მრავალი სხვა გარეული ცხოველიც ჰგავს დიდ კატას, მაგრამ ვეფხის გამოცნობაში არ შეცდებით, მას სხვა გარეულ ცხოველად არ მიიჩნევთ: ის კატის მსგავს ყველა სხვა ცხოველზე დიდია: უფრო დიდია, ვიდრე იაგუარი, ჯიქი და ავაზა¹.

ვეფხი აზიის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობს, მაგრამ ამ გარეული ცხოველის ძირითადი ადგილსამყოფელი ინდოსტანის ჯუნგლებია. (ჯუნგლი დიდსა და ხშირ შამშნარს ეწოდება). ჩვენ, ვინც ვეროპაში ვცხოვრობთ, შორს ინდოსტანის ჯუნგლებიდან, არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის შიში, რომელსაც ინდუსი განიცდის ვეფხის დანახვის დროს. ხშირად ინდუსებს თოფები არა აქვთ, და უთოფოდ კი ძნელია ვეფხთან ბრძოლა. როცა ახლომახლო ვეფხი გამოჩნდება, მის შიშს მთელი სოფელი განიცდის. ვეფხი ყოველი დამით თავს ესხმის სოფელს, დღეს კამეჩს შექმს, ხვალ ბავშვს, შემდეგ ქალს, კაცს და ასე მუდამ. გაბედული ხალხი ვეფხზე ნადირობს, მაგრამ ეს საქმე ძალიან სახიფათოა.

ჩინელებმა ვეფხის დასაჭერად ერთი საინტერესო ხერხი იციან: ისინი ვეფხს სარკის დახმარებით იჭერენ. სარკეს ხეზე მიამაგრებენ, ხის ქვეშ ორმოს ამოთხრიან და ბალახებით დაფარავენ. ვეფხი თავის თავს სარკეში დაინახავს, ფიქრობს, რომ მის წინ მეორე ვეფხია და გადაწყვეტს შებრძოლებას, გადახტება და ორმოში ამოყოფს თავს. ამის შემდეგ მისი მოკვლა ადვილია.

ჩვენი მოთხრობის დასაწყისში ერთ მონადირე ინდუსს, სახელად ოსარუს, ორ ევროპელ მოგზაურთან, ჩარლსსა და ვასპერთან ერთად ჯუნგლებში ვხვდებით.

სალამოა. მზე დაბლდა. დაქანცულები ბოლოს სოფელს მიაღწევენ. ოსარუს და მის თანამგზავრებს სოფლელები შეხვდნენ და ოსარუს უთხრეს, თუ რაოდენხან ნასიამოვნები იყვნენ მისი ნახვით. ჩარლსა და ვასპერს მათი ენა არ ესმოდათ, მაგრამ მიხვდნენ, რომ ხალხი ოსარუს ნახვით დიდად ნასიამოვნები იყო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ევროპელებმა ამ სოფლელების სახეებში რაღაც შიში ამოიკითხეს.

— რა არის? — ჰკითხეს მოგზაურებმა ოსარუს.

— ჯუნგლებში კაციკამიაა, — უპასუხა ოსარუმ.

— კაციკამია? რა არის კაციკამია? შეეკითხა ჩარლსი.

— კაციკამია, — ამბობს ოსარუ, — არის ვეფხი, რომელიც კლავს არა მარტო გარეულ ცხოველებს, არამედ ადამიანებსაც. დიად, კაციკამია კლავს კაცს, ქალს და ბავშვებს. ის შიშით აძრწოლებს მთელ სოფელს.

— მაგრამ რად არიან სოფლელები შენი ნახვით ასე ნასიამოვნები? — შეეკითხა ვასპერი.

— ისინი მიცნობენ — უპასუხა, ოსარუმ, — მათ იციან, რომ მე კარგი მონადირე ვარ. მე უნდა ვუშველიო ამ სოფლებს! მე ვეფხი უნდა მოვკლა. თუ არ მოვკლავ, ის ბევრ სოფელს მოკლავს. მე მაქვს მისი მოკვლის გეგმა, მაგრამ ეს ხვალისათვის იყოს. ახლა სოფელში შევიდეთ და დავისვენოთ, მზე დაბლდა, უკვე საქმოდ გვიანია.

მეორე დღიას ოსარუ თავისი გეგმის მიხედვით შეუდგა მუშაობას. სოფლელებს დახმარება სთხოვა. მათ, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით აღუთქვეს დახმარება: იცოდნენ, რომ მხოლოდ ოსარუს შეეძლო მათი შველა. ოსარუმ სოფლელებს დაავალა ლერწმისაგან დიდი გალია გაეკეთებინათ და სოფლის ახლო

¹ ვაგისას მწიგნობარ ამერიკულ ვეფხს უწოდებენ, ჯიქს — პანტერას და ავაზას — ლეოპარდს. ესენი ყველაში კატის ოჯახის ცხოველებია.





ჯუნგლებში დაედგათ. მათვე მოსთხოვა
სამი რამე: დედალი თხა, კამეჩის ტყავი
და გრძელი შუბი. თხა და კამეჩის ტყავი
გალიაში მოათავსეს. საღამოს ყველაფერი
მზად იყო.

ოსარუმ თავისი თანამგზავრი მოგზა-
ურები ჯუნგლებში წაიყვანა გალიასთან
და დაირიცხა:

— ჩარლს და გასპერ, — უთხრა ოსა-
რუმ, — ადით ამ დიდ ხეზე და ჩემს დაძა-
ხებამდე იქ იყავით. ჩემი დაძახების შემდეგ
სოფლიდან ხალხს მოუხმეთ. მაგრამ ძირს
ნუ ჩამოხვალთ, სანამ ნიშანს არ მოგცემთ.
— შენ საღ მიდიხარ? — შეეკითხა ჩარ-
ლსი.

— მე გალიაში მივდივარ, თხას-
თან, — უპასუხა ოსარუმ და თან დაუმატა:
— არ ილაპარაკოთ. იცქირეთ ქვევით, ხი-
დან ყველაფრის დანახვა შეგიძლიათ.

თქვა ეს და ოსარუ ლერწმის გალიაში
შევიდა. ბეჭებზე კამეჩის ტყავი წამოისხა,
ხელში ლერწმის შუბი აიღო და თხის
გვერდით დაჯდა.

ბნელი ღამე იყო. მთვარე არ ჩანდა,
ჩარლი და გასპერი ხიდან უცქერდნენ
კამეჩის აჩრდილსა და გალიაში მოთავ-
სებულ თხას. თხა ბლაოდა, თავის ციკნებს
ეძახოდა.

გავიდა ერთი საათი — ვერაფერი დაი-
ნახეს, მეორე და მესამე საათიც გავიდა —
კვლავ ვერაფერი დაინახეს. მეოთხე საა-
თის დასაწყისისას მათ სიბნელეში ორი

ყვითელი თვალი შეამჩნიეს. ეს ვეფხი
იყო. მას თხის ბლავილი ახელებდა. ერ-
თი წუთიც — და ის უკვე გალიასთან იდ-
და. გალიაში კამეჩიც არის! რა მშენი-
ერი სადილია! მაგრამ როგორ მისწვდეს?
ვეფხმა თათით შეანძრია გალიის ერთი
ჯოხი, მაგრამ ის მაგრად გაკეთებული
აღმოჩნდა. შემდეგ თათი შეჰყო შიგ.
თნამ დაიბლაგლა და გვერდზე გახტა. რა
ჰქნას ახლა ვეფხმა? ერთი წუთი შედგა.
კამეჩის ტყავწამოსხმული ოსარუ გალიის
კედელს მიახტა. უცებ შუბი გარეთ გა-
მოიძარათა და ვეფხს პირდაპირ ყვითელ
ტყავში შეერქო. მხეცი ძირს დაეცა, მა-
გრამ მალე წამოიჭრა და გადასახტომად
მოემხადა. ფიქრობდა ზევიდან ჩამხტა-
რიყო გალიაში, არ იცოდა, რომ გალიას
სახურავი ჰქონდა. ახტა, მაგრამ სახურავზე
დაეცა. ოსარუს შუბი ახლა ზევიდან აი-
მართა და ვეფხი მანვილ შუბზე წამოეგო.
ცოტა ხნის შემდეგ ის უსულოდ დაეცა
მიწაზე.

— მოუხმეთ ხალხს სოფლიდან! მოუ-
ხმეთ ხალხს სოფლიდან! — დაიძახა ოსარუმ.

ერთ წუთში ჩარლსი და გასპერი ოსა-
რუს გვერდით იდგნენ. მალე სოფლე-
ლებიც მათთან გაჩნდნენ. მთელი ის და-
მე ნაღიმობასა, სიმღერასა და ცეკვაში
გაატარეს.

საერთო იყო ჯუნგლების საშინელების
ბოლო.





მიკროფონთან

გამარჯვება დიადია ჩვენი,
ზღაპრად თქმული სინამდვილედ იქცა,
დღეს უდიდეს ჩვენს მიღწევებს ღხენით
ეგებება საბჭოეთის მიწა.

მერაბიკო ბეჯითია, წყნარი,
ბევრჯერ შეხვდნენ ფრიადოსანს ტაშით,
დღეს პირველად მიკროფონთან არის
და ფიქრები უტრიალებს თავში:


— თუმცა მამა მე ვერ დამინახავს,
მაგრამ გულთი გაიხარებს, ვგონებ,

ის საბჭოთა ვიბორგშია ახლა,
ჩემს ლაპარაკს ისიც გაიგონებს.

მოსდებია აღტაცების ალი,
სიხარული გამოუკრთის ხმაში,
გადაშლია ფართო მომავალი
დიდ სტალინურ, მზიურ ქვეყანაში.

გამარჯვება დიადია ჩვენი,
ზღაპრად თქმული სინამდვილედ იქცა,
მიკროფონთან დგას მერაბი ღხენით
და მას უსმენს საბჭოეთის მიწა.

მე-14 სკ. მე-6 კლასის მოსწავლე **აიზო თაბუაშვილი**.



აქ დასაზულია შეიდი
წრე. ბავშვებო, გახალეთ
სამი სწორი ხაზი ისე, რომ
ამ შეიდი წრიდან ეველანი
დარჩნენ ერთი - მეორიდან
გამოყოფილი.